2572

28.22.

დასკვნა

შპს «მიმდემი»-ის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის ფორმით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 22 მაისის №115 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ

GE12LB0113151108960000

ქ.წყალტუბო **17.08.2015**

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელმა, მარიამ ბალანჩივაძემ, განვიხილე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილისადმი, ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მამუკა მატარაძის 2015 წლის 13 აგვისტოს №2992/31 წერილი, რომელიც შეეხება შპს «მიმდემი»-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 22 მაისს გაფორმებული №115 ხელშეკრულების შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულების შესრულებასა და შესაბამისი თანხის ანაზღაურების აუცილებლობას.

ზემოთ აღნიშნული წერილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გაირკვა შემდეგი:

2015 წლის 22 მაისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე მამისეიშვილსა და შპს «მიმდემი»-ს შორის გაფორმდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის ფორმით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №115 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის (რიონი, ზარათი, მეჩხერი) მზა-ბეტონის შესყიდვას. ხელშეკრულების შესაბამისად, შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს **45462** *(ორმოცდახუთი ათას ოთხას სამოცდაორი)* ლარს.

ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2015 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით არსებული პერიოდი.

2015 წლის 10 აგვისტოს შპს «მიმდემი»-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება №115-ის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის (რიონი, ზარათი, მეჩხერი) მზა-ბეტონის შესყიდვის მომსახურების შესრულების შესახებ №6479 წერილი, რომელსაც თან ახლავს 2015 წლის 04 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები,

რომლებიც ადასტურებენ ხელშეკრულება №115-ის შესყიდვის ობიექტის (მზა-ბეტონის) მიწოდების ადგილზე მიტანას, აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს აწერენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში (რიონი) გამგებლის წარმომადგენელი - გიორგი ელბაქიძე.

№6479 წერილს აგრეთვე თან ახლავს მზა ბეტონის ფაქტობრივი მიწოდების ამსახველი ფოტომასალა, საკონტროლო ბეტონის კუბიკების გამოცდის შედეგების ამსახველი ოქმები და ფაქტობრივი დანახარჯების ამსახველი დოკუმენტაცია.

შპს ,,მიმდემი"-ის მიერ ხელშეკრულება №115-ის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის (რიონი, ზარათი, მეჩხერი) მზა-ბეტონის მიწოდებასთან დაკავშირებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი კომისიის №28 სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს «მიმდემი»-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის №31/755 ბრძანებით შექმნილ კომისიას შორის 2015 წლის 11 აგვისტოს გაფორმებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, საერთო თანხით **45418** (*ორმოცდაცხრაოთხი ათას ოთხას თვრამეტი*) *ლარი.*

გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემოწმებული მასალა საშუალებას იძლევა მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

2015 წლის 11 აგვისტოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი კომისიის №28 სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს «მიმდემი»-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის №31/755 ბრძანებით შექმნილ კომისიას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისობაშია 2015 წლის 22 მაისის №115 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს **45418** (*ორმოცდაცხრაოთხი ათას ოთხას თვრამეტი*) ლარს.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

მთავარი სპეციალისტის მ/შ: მარიამ ბალანჩივაძე

N 2992-31
13/08/2015

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ კონსტანტინე მამისეიშვილს

ბატონო კონსტანტინე,

განვიხილეთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, შემოსული 2015 წლის 10 აგვისტოს (გ.ნ) №6479 მომართვა, რომელიც შეეხება, შპს ,,მიმდემი"-ს და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის, 2015 წლის 22 მაისის №115 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და თანხის ანაზღაურებას.

სამუშაოები მიღებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის №31/755 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

გაცნობებთ, რომ შპს ,,მიმდემი"-ს მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად შეადგენს 45418 (ორმოცდახუთიათას ოთხასთვრამეტი) ლარს.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს მოახდინონ ანგარიშსწორება.

დანართი: ,,4" ფურცლად.

პატივისცემით,

მამუკა მატარაძე

ინფრასტრუქტურისა და ფეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლისა და შესყიდვის ობიექტი (სამუშაოები, მომსახურების საქონელის) მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი №28

ქ. წყალტუბო 11.08. 2015 წელი

სხდომას ესწრებოდა -

მამუკა მატარაძე	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
ლევან ჩაკვეტაძე	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა დაზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი
კახა ფანცხავა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი კომისიის წევრი
გიორგი კრავეიშვილი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-დაგეგმარების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი
იზაბელა დოლაბერიძე	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული საკითხთა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, კომისიის წევრი
ზურაბ მურვანიძე	ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი

იონა ჯოჯუა	ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი
მერაბი კუხალაშვილი	ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისის მდივანი კობა გოგიძე შვებულებაში ყოფნის გამო.

კომისიის თავმჯდომარემ მამუკა მატარაძემ კომისის წევრის - ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტის კობა გოგიძის (მდივანი) სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების გამო კომისის სხდომის ოქმის შედგენა დაავალა ამავე ჯგუფის წევრს **იონა ჯოჯუას.**

დღის წესრიგი -

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შ პ ს „ მიმდემი" - ს შორის 2015 წლის 22 მაისის №115 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.

მოისმინეს

ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტის იონა ჯოჯუას მოხსენება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შ პ ს „მიმდემი" - ს შორის 2015 წლის 22 მაისის №115 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.

კერძოდ აღნიშნავს 2015 წლის 7 აგვისტოს № 6479 წერილით მოგვმართა მიმწოდებელმა და ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (რიონი, ზარათი,მეჩხერი) მზა ბეტონის მიწოდების მიღება-ჩაბარებას. წარმოდგენილია მიღება-ჩაბარებისათვის საჭირო საბუთები, შესრულებული სამუშაოს აქტები, ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოხდეს სამუშაოების მიღება- ჩაბარება.

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მამუკა მატარაძემ და მერაბ კუხალაშილმა აღნიშნეს, რომ სამუშაოები შესრულებულია ხელშეკრულების პირობების თანახმად, დადგენილ ვადაში და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს მიღება- ჩაბარება.

ჯგუფმა ყველა წევრის მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინეს

1 მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შ პ ს „მიმდემი " -ს შორის 2015 წლის 22 მაისის №115 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარება და შედგეს მიღება - ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე : მამუკა მატარაძე

კომისიის წევრები: ლევან ჩაკვეტაძე

კახაბერ ფანცხავა

გიორგი კრავეიშვილი

იზაბელა დოლაბერიძე

ზურაბ მურვანიძე

მერაბი კუხალაშვილი

დონა ჯოჯუა

ლტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (რიონი, ზარათი,მეჩხერი) მზა ბეტონის მიწოდების
მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. წყალტუბო 11 08 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერებმა ერთის მხრივ შპს „მიმდემი" -ს დირექტორის ზურაბ მიქაძე და მეორეს მხრივ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის №31 755 ბრძანებით, შექმნილმა კომისიამ, შემადგენლობით: მამუკა მატარაძემ, ლევან ჩაკვეტაძემ, კახაბერ ფანცხავამ, გიორგი კრავეიშვილმა, იონა ჯოჯუამ, ზურაბ მურვანიძემ, მერაბი კუხალაშვილმა და იზაბელა დოლაბერიძემ, მოვახდინეთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მიმდემი" - ს შორის, 2015 წლის 22 მაისის №115 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (რიონი, ზარათი,მეჩხერი) მზა ბეტონის მიწოდების მიღება-ჩაბარება ღირებულებით 45418 (ორმოცდახუთიათას ოთხასთვრამეტი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა შპს „მიმდემი" - ს ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

ჩააბარა: ჩაიბარა:

შპს „მიმდემი"-ს
დირექტორი ზ.მიქაძე

412679061

ჯგუფი
შემადგენლობით

მ.მატარაძე (კომისიის თავმჯდომარე)

ლ.ჩაკვეტაძე

კ.ფანცხავა

გ.კრავეიშვილი

ი.ჯოჯუა

ზ.მურვანიძე

მ.კუხალაშვილი

ი.დოლაბერიძე

№115 ხელშეკრულების საფუძველზე სოფლებისთვის: რიონი, ზარათი,მეჩხერი მზა ბეტონის მ300,ღორღის0,40,საბეტონე ღორღისსა და ცემენტის მ400 მიწოდება

ნანართი №3

№	პროდუქცია	განზომილება	რაოდენობა	ერთეულზე	სულ	ჯამი(დღგ გარეშე)
	რიონი თავი №1					
1	მზა ბეტონი მ300	$მ^3$	178	143	25454	
2	ღორღი 0.40	$მ^3$	20	14	280	
3	საბეტონე ღორღი	$მ^3$	54	16	864	
4	ცემენტი მ400	ტ	17,5	184	3220	
5	ჯამი				29818	
	ზარათი თავი №2					
6	მზა ბეტონი მ300	$მ^3$	52	145	7540	
7	საბეტონე ღორღი	$მ^3$	55	16	880	
8	ცემენტი მ400	ტ	18,5	184	3404	
9	ჯამი				11824	
	მეჩხერი თავი № 3					
10	მზა ბეტონი მ300	$მ^3$	14	145	2030	
11	**№1 №2 №3** თავების ჯამი				43672	37010,16949
12	ჯამი					37010,16
13	გეგმიური მოგება	4%				1480,4064
14	ჯამი					38490,5664
15	დღგ	18%				6928,301952
16	ჯამი					45418,86835

45462 43,13165

შპს,,მიმდემი"-ს დირექტორი: /ზ.მიქაძე/

412679061 GEORGIA LTD „MIMDEMI"